…ამბა და რედაქცია …ოისი, სასახლის ქ., …აზნაურო კარვასლა
…ომწერნი გაზეთის დასაკვე- …მართავენ რედაქციას დილის …აათამდე და საღამოს 6—7 …კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
…უწერავ წერილებს რე- …აქცია არ ბეჭდავს.
…პირ მოლაპარაკება რედაქ- …თან შეიძლება ყოველდღე- …ლეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალი ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



წლის დამლევამდე
…გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 5 მან.,



დააჭაშნიკეთ
…აუწყურავი ღვინოები
პირდაპირ ბოჭკიდან ბოთლში ჩამოსხმული
„იყალთო“
…ურბი და ლუარსაბ მაჭავარიანისა გოლოვინის პროსპექტი სას-ტუმრო „როსსიას“ ქვეშ სახ. ანტონოვისა, № 19.
იქვე შეიძლება ღვინის სმა



…ილეთ სწორეთ იმ ფირმებიდამ …ისეთივე საიმედო, როგორც …რსულ წლებში, ბაღდადების …როშიული ჯიშისა დიდი მა-…ბრეშუმის თესლი. მსურველთ …ლიანთ მოგვმართონ ჯერ-ჯე-…ით: ოზურგეთში, ახალსენაკში …ათუმში ჩვენს წიგნის მაღა-…ს, რომლებთაც დაეთმობა …რ იაფად. საიმედო პირს ვაძ-… ნისიათაც. ამასთანავე ვყი-…სულ მცირე ფასათ ბჟოლის …ს და წიგნაკებს აბრეშუმის …ა მოშენებაზე.
…—8) ძმ. თავართქილაძეები.



…კურნალო და ამბულატორია
…ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
…ურნალოში 50 საწოლია ავად-…თათვის მიიღებიან ავადმყოფ-…შინაგანისა, ნერვების, საქირურ-…თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,
…ამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
…დმყოფთ სინჯავენ დილის 11 …იდგან ნაშუადღევის 3 საა-…თ. შინაგან და ნერვების ავად-…ფობას სწამლობს ს. ბ. თო-…რია. საქირურგო ავადმყოფობას …სიფილისს შ. კ. ზერატი, …თა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
…ისიდამ—ცეცხლათა ავადმყოფო-…ბის და აკუშერობის D-r ფ. ბა-ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ძ. ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია
Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ.


## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ქართლ-კახეთის საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

სოფლის ახალშენის გლეხი ზაქარია გიორგის ძე მესხი—წმ. გიორგის ეკკლესიისა, პირველ სამწლობით, 27 იანვარს 1899 წ.

გლეხები: ახალიკის სოფლისა ფოტი გაბრიელოვი—წმ. ნიკოლოზის ეკკლესიისა და სოფლის ილიოსი ნიკოლოზ ცანდეკოვი—პეტრე პავლეს ეკკლესიის, ორივე პირველ სამწლობით, 29 იანვარს 1899 წ.

მართლ მადიდებლობას შეუერთა: მღვდელმა ყარსის საეპარქიო საკრებულო ტაძრისამ სტილიანე კაკულიდიმ—მაჰმადურის სარწმუნოებისა სათათრეთის ქვეშევრდომი ახმედ-სულეიმან-ოღლი და სახელად ილია დაარქვა.

შემახის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვდელმა ვასილი ტანაშევიჩმა—მალაკანთა მწვალებლობის აღმსარებელი 18 წლის ქალი ანნა აპორშევისა და სახელი არ შეუცვალა.

ბაქოს ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძრის მღვდელმა თეოდოსი კორობოვმა—ქალ. ნუხოქსარის მდაბალი მოქალაქე—მეთოდი ვოილოშნიკოვი—სტაროობრიადთაგანი და სახელი არ შეუცვალა.

იმავე მღვდელმა კორობოვმა დაღესტნის ოლქის სოფლ. ახტის მცხოვრები აბდულ-ვერდი-ოღლი მაჰმადიანთაგანი და სახელად ალექსანდრე დაარქვა.

ბლაღოჩინმა მღვდელმა იროდიონ გურგენიძემ დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანის გლეხი ოსკან ყაზარას ძე ოსკანოვი სომეხ-გრიგორიანთაგანი და სახელად ვლადიმერი დაარქვა.

საკუთარ მინდობილებათათვის მეფის კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა მთავარ-სარდალთან, კავალერიის დენერალი, თავადი ივანე გივის ძე ამილახვარი დამტკიცებულ არს ტფილისის ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მზრუნველის წოდებაში.

# ახალი ამბავი

* * * რკინის გზა სოხუმზე. როგორც გაზეთ „კავკაზს“ატყობინებენ დეპეშით პეტერბურგიდან, მინისტრთა კომიტეტს უკვე დაუმტკიცებია ახალი რკინის გზის გეგმა; ამ გეგმით რკინის გზა გავა ეკატერინოდარიდან ტუაფსეზე, სოჩასა და სოხუმზე,—შავი ზღვის ნაპირებზე.

ამ რიგად დიდი ხნის ნატვრა სამურზაყანო აფხაზეთისა მალე ასრულდება, სოხუმში ვავა რკინის გზა და ეჭვი არ არის, იგი შეუერთდება სამეგრელოს და იმერეთს.

სწორედ ამ დროს საჭიროა სოხუმისათვის ფხიზელი და ცოდნით შეჭურვილი მოურავი, რომელსაც შეეძლება სასიკეთოდ გამოიყენოს მთელის სოხუმის ოლქისათვის ახლად გაჭრილი რკინის გზა...

* * * ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, როგორც ამბობენ უნდა მოხდეს დამდეგი თვის 7-ს. კრება განიხილავს მრავალს სათავად-აზნაურო საჭირ-ბოროტო კითხვებს და სხვათა შორის აირჩევს წარმომადგენლებს საადგილ-მამულო ბანკში აზნაურებიდან.

* * * გამოცდა კავკასიის სასწავლო ოლქში. საერო განათლებათა მინისტრს შეუტყობინებია კავკასიის მზრუნველისათვის, რომ გამოცდა ყველა სამინისტრო სასწავლებლებში ჩვეულებრივ დროზე უნდა მოხდეს, ხოლო პუშკინის იუბილეის გამო უნდა იდღესასწაულოთ ორი დღე—26 და 27 მაისსა.

* * * ხელოსანთა მოურავის არჩევნები. ბ. გუბერნატორს უბრძანებია სახელოსნო გამგეობისათვის დაუყოვნებლივ დანიშნეთ არჩევანები ხელოსანთა მოურავისა, სერობიანცის მაგიერ, რომელსაც ვადა უთავდებათ. არჩევნებზე ზედამხედველობა მინდობილი ექნება ერთ ერთს საგუბერნიო მოხელეს.

* * * ძმისა და დის ჩხუბი. ხუთშაბათს 18 მარტს, რკინის გზის ლიანდაგის გაღმა, სადგურის პირდაპირ ავჭალის ქუჩაზედ (ნაძალადევში) 6-ს სახლებში მდგმურს ი—ე ტ—ს ლაპარაკის დროს ჩხუბი მოუვიდა თავის დასთან და იქამდის მიაღწია მათმა ჩხუბმა, რომ ძმამ დანით დასჭრა შუბლში თავისი და, შეიქნა ჩოჩქოლი აყალ-მაყალი, თუმცა პოლიციელმაც გაიგო, მაგრამ ყურადღებაც არ მიაქცია, მგონი იმ მიზნით, რომ საშიში კაციაო. საბრალო დედაკაცი ძლივს, ძლივობით მიათრიეს, თავის დედასთან, (რომელიც იქვე ახლო სდგას). სისხლი ნიაღვარივით სდიოდა, ხალხი კი სეირს უცქეროდა. ბოლოს, როგორც იქმნა დედამ თავ სისხლიანი პოლიციაში წაიყვანა.

უბედურება კიდევ ის არის, რომ საბრალო ქალი ბუნებასვე დაუსახიჩრებია: წლოვანებასთან ტანით ძლიერ პატარაა, ასე რომ $1^1/_4$ არშ. ძლივს იქნება სიმაღლით, ხნით-კი 33 წლამდის, რასაკვირველია ქმარიც არა ჰყავს, რადგან თავის ცოლს სად შეჰხვდება.

— ნაძალადევის შესახებ. კარგი იქნება რიგიანი თვალ-ყური ადევნონ ხოლმე ვისიც ჯერ არს ნაძალადევის უბანს, რადგან ყველა სისაძაგლე აქა ხდება; ქურდობა,

გძარცვა, ჩხუბი. ცემა ტყეპა, ხანდიხან კი კაცის კვლამდისაც მიახწევს ხოლმე. წვიმიან დროს კი მშვიდობით, ნამეტნავათ ღამე უნ და ეზიარო და ისრე შეუდგე გზას, რადგან არ იცი მიახწევ სახლს თუ არა. ნეტავ ჩვენი ქალაქის მამები რაღას ფიქრობენ, იქნება საიქიოს მაინც მოვესწროთ ქუჩების მოკირწყვლას?

*** სასტორიო მასალები. ვატიკანში, მსწავლულს ბერს მ. თამარაშვილს კვალად მოუპოვნია ძრიელ ბევრი ცნობები. რომის პაპების და საქართველოს მეფეებთან მიწერ-მოწერის შესახებ.

ბევრი ცნობები იქ მოიპოვება ისეთი, რომელთა მცირე რამ ცნობა ჩვენს ისტორიაშიც არ მოიპოვება, მაგალითებრ: გიორგი მეთერთმეტეს დროს ერთის ქართველის ვთიმე ეპისკოპოზის, რომელიც ერთს დროს მაჰმადიანობდა, მერე კათოლიკობას შეუერთდა და ასევე მრავალიც სხვა საყურადღებო ცნობები.

ამ ცნობებს ჩვენ თავის დროზე ჩვენს მკითხველს გავაცნობთ.

*** ცხინვალის ხეობა. 10 ნოემბერს თუმცა დიდი თოვლი მოვიდა მთაში და თითქმის შეუძლებელი გახდა მთა და მთა გადასვლა პატარა ლიახვის ხეობიდგან დიდი ლიახვის ხეობაზედ; მაგრამ ბ. ინსპექტორი ევტიხი მამინაიშვილი მაინც არ შეუშინდა ავდრებს. მთის სამღვდელოების თანამგზავრობით, იმ ღამეს გადავიდნენ ს. ჯავაში. აქ შეგირდების გამოცდა ყოვლად შეუძლებელი იყო, რადგანაც მასწავლებლებს დაეთხოვნათ—ქორწილებისა და სხვა ადგილობრივი დღეობების გამო. ამ ღამეს შეიკრიბნენ ორკლასიანი ჯავის სკოლის მასწავლებლები, ბ. ინსპექტორთან—დიდ შუაღამემდინ დარჩნენ და თქვენც არ მომიკვდეთ, იმათ კრინტიც არ დაუძრავთ სკოლაზედ და სკოლის ინტერესებზედ. როკის სკოლის ხის შენობა, ისე დაძველებულა და დაფუცუნებულა, რომ ყოველ დიდი გრიგალის დროს, წაქცევას ლამობს. შეგირდების მაგიდეები სულ მიმტვრეულ მომტვრეულია, სკოლას არც ერთი ფანჯარა აღარა აქვს მთელი, კედლები მინგრეულ-მონგრეული, ბუხარი უკან გადაწოლილი; ერთის სიტყვით აქ მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელია, მასწავლებლისთვის არც შეშა და არც მოსამსახურე. აი ამისათვის ბ. ინსპექტორმა შეჰყარა ყრილობა. ყრილობაზედ არც ერთი სოფელი არ მოვიდა, გარდა ზემო როკელებისა. როდესაც ბ. ინსპექტორმა გამოუცხადა ხალხს, რომ ვიშუამდგომლებ მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებასთან, რომ თქვენი ესე გულ გრილი ქცევისათვის, ეს სასწავლებელი დაიკეტოს და იქმნეს გადატანილი იქ, სადაც უფრო საჭიროა; ხალხის აღელვებას საზღვარი არა ჰქონდა, თავმოყვარეობის გამო; დაიძახეს: ჩვენი სიკვდილი სჯობიან სკოლის დაკეტვასაო. მით უმეტეს შეეშინდათ, რომ შარშანაც დაიკეტა ამათში სკოლა, ამ ნაირი გულგრილობის გამო, ს. ედისაში. ერთმა ზემო როკის მცხოვრებმა სახელდობრ ჯანასპი თომაშვილმა მოახსენა ბ. ინსპექტორს, რომ ოღონდ ნუ უჰკეტავთ ამ სკოლასაო და შესწირა თავის საკუთარი მშვენიერი სახლები, სამ ოთახიანი, მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას. დასწერა ქაღალდზედ, მოაწერა თავის საკუთარი ხელი და წარუდგინა ბ. ინსპექტორს. სახლები დაახლოვებით ღირს სამოცი თუმანი, მთელი ეხლანდელი გარემოებით.

ს. ზღუბირის, ჯომაღის, ქვემო როკის და სხვა წვრიმალი სოფლების მცხოვრებლებს თავი მოეყარათ ერთად ეკკლესიის გვერდზედ, ზემო როკიდგან ოთხი ვერსის მანძილზედ და უცდიდნენ ბ. ინსპექტორს. ხალხმა ერთ ხმად მოახსენა: თუ ოცდა ორი კომლის ზემო როკველებისთვის გახლავთ გამართული ის სკოლაო, ჩვენ იქ სიშორის გამო, ვერც შვილებს გავგზავნით და არც სკოლას ვემსახურებითო, თუ გადმოიტანთ, აქ ეკლესიის გვერდზედ, სადაც მღვდელიცა სცხოვრობს და ყველა ჩვენ სოფლებზედ საშუალო ადგილიც არისო, მაშინ რაც გნებავთ იმ შემწეობას აღმოვუჩენთ სასწავლებელსაო. ბ. ინსპექტორმა წინადადება მისცა ხალხს: თუ ყოველ წლივ ეს საზოგადოება გადაიხდის ოცდაათ თუმანს წელიწადში და წარმოადგენს ხოლმე მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებაში, ააშენებენ ახალს სახლებს თავის ხარჯით, იმ გეგმაზედ, რომელიც გამოგზავნილი იქნება თბილისიდგან, დაიქირავებენ თავიანთი ხარჯით სკოლის მოსამსახურეს, სასწვლებელს არ მოაკლებენ შეშას და ყოველ წლივ სკოლაში ეყოლებათ საკმარისი რიცხვი შეგირდებისა, მაშინ ვიშუამდგომლებ, რომ სასწავლებელი გადმოიტანონ ზემო როკიდგან. ხალხი ულაპარაკოდ და დიდის სიამოვნებით დასთანხმდა ყოველ ზემოხსენებულ პირობებზედ და კიდეც დაადგინეს განაჩენი ყრილობისა.

მართალაძე

*** დ. სურამი. აქაურ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოზე. კარგა ხანია, რაც აქ უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო არსებობს, მაგრამ ვაი იმისთანა არსებობას, ის რომ არსებობს! ას-ოცი წლის მოხუცივით ყურებ ჩამოყრილი საცოდავად მოკუნჩხულიყო სამკითხველო და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდა. ცნობის მოყვარეობამ შემიპყრო და ვკითხე რა გატირებს მეთქი და აი რა მითხრა: „ეჰ! განა საკითხავია, რისთვისაც ვტირი? გეტყობა, რომ აქაური არ უნდა იყოვო“. „პირველ ხანებში ჰო! არა მიშავდა რა (ღმერთმა უშველოს ბ. ი. მესხს, ის იყო ჩემი ყურის მგდებელი), მაგრამ მოგეხსენებათ, ბედნიერება და უბედურება და ძმანი გახლავთ: იმ ჩემს მფარველს სხვა საქმე გაუჩნდა და მე თავი დამანება (სამსახურის გამო სხვაგან გადავიდა). „აბა შეხედე ერთი რასა გავს ჩემი კედლები?!.“ ავეჯი ხომ სულ აღარ მივარგა: სკამებია და დამტვრეული, შკაფია და მინები აღარ აქვს, ამოდენა დღიურ გაზეთებს იწერენ და ნახევარი აღარ არის აქ, ისე მიაქვთ და კარგავენ, წიგნებია და თან და თან თუ მაკლდება, თორემ არ მემატება, დღიური გაზეთია და არავინ არ კითხულობს, საწევრო ფულია და ნახევარი შემოუტანელია, მაგრამ არავინ არ იწუხებს თავს, ერთი სიტყვით, პატრონი არავინ მყავს და აბა რომ მანუგეშებ, რით უნდა ვინუგეშო თავი“-ო. მე ველარაფერი ვერ უთხარი და თავჩაღუნული წაველი შინ და გზაზედ გამგეს შევხვდი და შევეკითხე, თუ როგორ მიდიოდა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საქმე. თურმე ნუ იტყვით ბატონო, ბ. გამგეს ბარე ორჯელ გაუშანშალებია უშველებელი თხოვნა, რომ აღარ შემიძლიან გამგეობა, ჩემი საქმეები მაქვს და ამისთვის გთხოვთ გამანთავისუფლოთო, მაგრამ ხმა მღაღადებლისა დარჩენილა უდაბნოსა შინა და გამგეს თხოვნა აღარ შეუწყნარებიათ— „გინდა თუ არა უნდა იყო გამგეთაო“, აბა, რომ იტყვიან „ძალად მაცხოვნეო“, სწორედ ამას ჰქვიან. იმე! თუ არ უნდა მაინც? ეჰ! მახ ლას!

იმერელი კიკოლიკა.

## ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კონსტანტინე ქართველისა.

(ვუძღვნი კონსტანტინე დიმ.-ძეს ეგაძეს)

«გწყუროდა სიბრძნით
სიკვდილი სიბრძნისათვის»!
ანტონ კათალიკოზი

კაცობრიობის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავთ იმ მოხუცებს, რომელნიც „შემკულნი იყვნენ გამოცდილებით, სიბრძნით,
წინ დახედულობით და სა
დოდ ყოველი თვისებით,
ლითაც შეუძლია ადამიანს
გავლენა ჰქონდეს თანამე
ცხოვრებაზედ და თვისი სახ
უკვდავ ჰყოს ქვეყანაზედ. რ
საც ჰკითხულობ თქმულებას
თუ იმ მოხუცის სიმხნის, გა
ახობის და მოღვაწეობის შ
უნებლიედ გჯერა, მტკიცედ
წამს, რომ ადამიანის სული,
გორც ღვთისაგან მონაბერი,
ების კერძო, წლებთან ერთა
ბერდება, სხეულთან ერთად
ჰკარგავს ძალას, არამედ,
დრო და ხანი მიდის, ამ ს
ნიჭები უფრო ძლიერდებიან,
რო მეტს უნარს იჩენენ, უ
მიესწრაფებიან განვითარებისა
უკვდავებისკენ... წლები, დრო
ხანი ვერ აბერებს, ვერ ასუს
ადამიანის სულს, უკვდავები
გაჩენილს, რომელიც ისეთივე
ვდავია, როგორც მისი შთა
ველი ღვთაება... ჩვენ შეგვი
ჩამოვთვალოთ მრავალ მოხუ
სახელები, რომელთაც გაცკ
თვის სიბერის ჟამს კაცობრ
თვისი ჰკუის უკვდავ ნამოქ
რით, თვისი მაღალი, წმიდა
წმუნოებით, თვისი უმწი
ზნეობით, თვის სიმხნით,
სიმამაცით. მაგალითებისთვის
წასვლა არ დაგჭირდება...
სამშობლოს ცხოვრება გვაძ
საკმაო რიცხვს იმის მაგალი
სას, თუ რა გვარ ღირსებით
გვარ ნიჭებით და რა გვარ
ნით შემკული იყვნენ ქართ
მოხუცები, რომელთ რჩევას
მელთ დარბაისლურს დარ
გულ-დასმით და სიმდაბლით
სმენდა თითოეული გონიერ
რთველი და ცხოვრების მ
სახავდა. მათს გამოცდილებას
ცოდნას ცხოვრებისას, მათს
ვირვებას და შთაბეჭდილებას
გულ-წრფელს სიყვარულს
ბლოსას და ეკკლესიისას დიდ
ლიან დიდი ფასი ჰქონდა
თველოში... დღევანდელი
რის საგნად ჩვენ აღრჩეული
ცხოვრება და წამება კონს
ნე ქართველისა, რომელმაც
შესწირა საქართველოს ეკკ
კეთილ-დღეობას ოთხმოც
ხუთე წელს თვისის და
დღიდამ... ეგებ გინახავთ
სულის და გულის უნებლი
მხიბლავი სურათი ამ წმიდ
წამისა?!. ამ სურათზედ გამ
ლია მოხუცი, მოკლე სპეტ
რით და თმით შემკული;
ვია ძველი ქართული ტანი
მარჯვენა ხელში უპყრია
მარცხენა ხელი გულზედ
ყრდნობილი, იმის ნიშნად
მას გულის სიღრმეში ჩან
აქვს მტკიცე და ცხოველ
მუნოება ჯვარცმული მაც

ხი თვალები ცის მიმართ
რულია; სადაც გული მისი
სადგურს, საუკუნო გასას-
ლს. მის მარცხნით დახატუ
სხვილ რგოლებიანი ჯაჭვი,
ითაც მტარვალებმა შეაბო-
ს ეს წმიდა მოწამე და ფე-
მოსჩანს ხმალი, როგორც
ხორცის და სულის მტე-
ბრძოლისა. მოხუცის ლმო-
სახეს ზედ ემჩნევა სათნოე-
მშვიდე და სიყვარული,—
ი ხასიათი მისი, სჩანს, ყო-
ამღვიდ-ქრისტიანობრივი... წმ.
ანტინე სცხოვრობდა სწო-
მ დროს, როდესაც საბერძ
მართლმადიდებლობამ სძლია
ს ცრუ-სწავლას, როდესაც
ორმოცდა ორს წელს საჯაროდ
ებულ იქმნა ეს ძლევა, სწო-
დიდ მარხვის პირველს კვი
ამ დღეს აქამომდე ჰქვია
მადიდებლობის დღე“, მართლ
ებლობის დღესასწაული“. ეს
მოხდა იმ დროს, როდესაც
ნეთში მეფობდა ღვთის
ი თეოდორა დედოფალი ძ
შვილი მიხეილ მცირე წლო-
. ამ დროს კონსტანტინე
მოხუცებული იყო... ის
ებოდა შუა ქართლის მგამ.
მისი სახელი დიდების და
ის სხივით იყო შემოსილი
ელთა შორის. ამასთანავე
დიდარი იყო და სტკბებოდა
უფლო კეთილდღეობით. წმ.
ტ-ნტინეს სახელი შორს ქვე-
ც გათქმული იყო.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

# ...ატრის მატიანე

ქ. ქუთაისი ბ-ნი ქორაშას
ერტი. კვირის 14 მარტს ბ.
ძის კონცერტმა მშვენიერად
ა ქალაქის ტეატრში. ფ. ქო-
მ შეადგინა დასი ქუთაისში
ომზადა ისე მშვენიერად, რომ
ოეულმა სიმღერამ ალტაცე-
მოიყვანა დამსწრე საზოგა-
ბა. ყველა სიმღერამ ულრმესი
ბეჭდილება იქონია საზოგა-
აზე, მაგრამ გამოუთქმელ
ცებაში მოიყვანა საზოგადოე-
იმღერეებმა: „როლის ყელსა“,
ადირეთა სიმღერა“, „ინდი-
ი“, „ხელში ხვავია“, „პატარა
რელი და სხ.“ ბ. ქორიძე
ანს ამშვენებს და ფერს აძ-
ჩვენს სიმღერეებს; მუზიკა-
ი კანონებით არ არღვევს
კილოს, ხისიათს და ხმათა
ილებას. საზოგადოებამ მრა-
ჯერ გამოუძახა ბ, ქორიძეს
ისს ხოროს ალტაცების ტა-
ცემით და ვაშას ძახილით ნიშ-
მადლობისა.

დამსწრეთაგანი

# ბრძნული თქმულება

—

ყველაფერი აღსრულდება; აღარაფე
რი აღიგვება.

—

არავის არა ჰქონია სათნოიანი სული,
სანამ თვითან უსათნო არ ყოფილა.

—

განა ყველა ფულს წონაზე აფასებენ.

—

უბედრიელესი თაფლიც კი გამუდ-
მებით მაბეზრის.

—

თუ კაცს არაფერი არ აღელვებს ქვე-
ყნიერობაზე თავს არავითარი ნდობა და
მისწრაფება არა აქვს, რომელშიაც შე-
ეძლება გამოსცადოს თავის სულის კვე-
თება და მუდმივ შეუშფოთველ უსაქმუ-
რობაში—ეგ გულის სიმშვიდე კი არა
ბოროტი არარაობაა!

# ყურმოკრული საუბარი

—

ნიკომ ჟუსტი სადილად დაპატიჟა. სტუმარი დიდი მჭამელი გამოდგა. სადილი გათავდა და ჟუსტიმ ნიკოს ჰკითხა.

— დღეს გურიაში მივდივარ და რაგინდა, რომ მოგიტანოთო?

— არა, შენი ჭირიმე, თურამ გადაგრჩეს გამომიგზავნე, შენკი ნუგაირჯებიო. უპასუხა სტუმრის გაუმაძღრობით გულ გატეხილმა ნიკომ.

# სხვა-და-სხვა ამბავი

—

მეცნიერების გმირი. გამოჩენილი საფრანგეთის მეცნიერი ტრუსო უკურნავის სენით იყო შეპყრობილი. მას სჭირდა კუ. ამ სენის ვითარებას ტრუსო უხსნიდა ხოლმე თავის შეგირდებს სტუდენტებს. ყოველ დღე მიდიოდა რა ლექციებზე ტრუსო, იგი უხსნიდა ხოლმე სტუდენტებს კაცის წამლობასა და მის ზეგავლენას ავადმყოფზე. რა თქმა უნდა ექიმი თანდათან სუსტდებოდა. უკანასკნელად ექიმი ტრუსო მივიდა ლექციაზე, სადაც სტუდენტებს დაუწყო ასე: ეხლა უმაწვილებო, მე ახსნის ძალაც არა მაქვს სენმა მეტად ჩამჭიდა ბრჭყალები. დიდად ვსწუხვარ, რომ არ შემეძლება ყოველთვის თქვენთან საუბარი საბრალო სენზე—კუზე. ხვალინდელი ლექციისათვის მე უკვე აღარ ვიქნები ამ ქვეყნად. მაშ მშვიდობით უმაწვილებო!..

# წვრილი ამბავი

—

გვამების დაწვა იაპონიაში. იაპონიის მედიცინის ჟურნალი Tei-S-Kwaj, საყურადღებო ამბავს გვაუწყებს იაპონიაში გვამების დაწვის შესახებ. გვამების დაწვა პირველად შემოღებულ იქმნა Tito მეფობის დროს, იმ დროს გვამებს პირდაპირ მინდორში სწვავდნენ. განსაკუთრებულ ადგილს კი გვამების დასაწვავად 1871 წელს დაუწყეს შენება. ჩვენს დროში ეს ჩვეულება თანდათან უფრო ხმარებაში შემოდის, თუმცა დამარხვა მაინც ისევ მასზე მაღლა დგას მაგ. 1897 წელს 34,000 გარდაცვალებულთა შორის ტოკიოში 15,000 დასწვეს და 19,000 დამარხეს. ტოკიოში 7 გვამების დასაწვავია ერთმანეთის მაგვარი, რომლებიც ორ შენობაშია მოთავსებული და ამაში 32 ღუმელია აგურისაგან აშენებული და წინ ორპირი რკინის კარები აქვს გაკეთებული. თვითეული ღუმელის შიგნით დასადგამია კუბოს დასასვენებლად, დასადგომის ქვეშ ცეცხლისთვის არის ადგილი. ღუმელის უკანა კედელს დატანებული აქვს პატარა დია ადგი, საიდანაც ცეცხლს ანთებენ ხოლმე, ბოლი ადის მილით, რომელიც ღუმელის ზევითა ნაწილს აქვს დატანებული. გვამების დასაწვავი ფასი სამგვარია, თუმცა სამივეში დაწვა ერთგვარად სწარმოებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ 1 და 2 განყოფილებაში ღუმელის წინიდან ცისფერ ფარდას აფარებენ და მცველად ორ მსახურს აყენებენ მთელი ღამე, 3 განყოფილებაში რამდენიმე ღუმელს მხოლოდ ერთ მცველს აყენებენ.

დაწვა ამგვარად სწარმოებს: რაკი დანიშნულს ფასს გადაიხდს, მახლობელი ნათესავი გარდაცვალებულისა—მამა ან ძმა სალოცავში აწირვინებს, რის შემდეგაც კუბოს დგამენ ღუმელში. ნათესავი კლიტეს დაადებს, გასაღებს თან წაიღებს და შინ მიდის. ამავე დროს მსახური ნავთს ასხამს შეშას უკანა კარებიდან და რა წამს დაადამდება, აანთებს კოცონს. სრულის დაწვისათვის საჭიროა 3—6 საათი. დილით მიდის ნათესავი და ნაცარს მოხვეტავს.

მიხეილ კიკნაძე

## შემომწირველთა სია კავკასიის ქართული ეკკლესიისთვის 1898 წ.*)

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 305) ალექ. კობაიძე . | . 1 | „ „ |
| 306) კარაპეტა ქეჩეჩოვმა | 1 | „ „ |
| 307) ვასილ ყიფიანმა | . 1 | „ „ |
| 308) ილია კურდუკოვმა . | 1 | „ „ |
| 309) ივანე კოლოტაურმა | 1 | „ „ |
| 310) ნიკ. კონზუპულოვმა | 1 | „ „ |
| 311) ფრიდ. კანდელაკმა | 1 | „ „ |
| 312) იაკ. სტ. კულოვმა | 1 | „ „ |
| 313) იოს. ქურდევანიძემ | 1 | „ „ |
| 314) ადამ ქავთარაძემ | . 1 | „ „ |
| 415) ვასილმა და შიო ქავთარაძეებმა . . . . | 1 | „ „ |
| 316) ივანე კელოვმა . | . 1 | „ „ |
| 317) კარსევან ბურდუმა . | 1 | „ „ |
| 318) პ. კურდღელაშვილმა | 1 | „ „ |
| 319) პეტრე ქაჩქაროვმა . | 1 | „ „ |
| 320) ვას. კვირიკაშვილმა | 1 | „ „ |
| 321) ივანე ყარაევმა . | . 1 | „ „ |
| 322) ვასილ ყორღანოვმა . | 1 | „ „ |
| 323) ბართ. ქიერიაშვილი | 1 | „ „ |
| 324) ილია ქაჯაევმა . | . — | 20 |
| 325) თავ. იას. მ. ლორთქიფანიძემ . . . . | 40 | „ „ |
| 326) ზაქ. დაკეზოვმა . | 20 | „ „ |
| 327) მ. ი. ლომიძემ | . 10 | „ „ |
| 328) გ. ლორთქიფანიძემ | 2 | „ „ |
| 129) ლუკოვენკომ . | . 1 | „ „ |
| 330) გიორგი ლაზაროვმა | 1 | „ „ |
| 331) გ. გ. ლომიძე . | . 1 | „ „ |
| 332) ბეს. ლობჯანიძე | . — | 50 |
| 333) სილ. ლობჯანიძე . | — | 50 |
| 334) იოს. ვას. სიმ. მოზდოკელოვმა . . . | 200 | „ „ |
| 335) გრიგოლ ვას. სიმ. მოზდოკელოვმა. . . | 200 | „ „ |
| 136) სვიმ. მეფურნოვმა | 125 | „ „ |
| 337) თავ. რ. მაყაევმა . | 100 | „ „ |
| 338) ივანე მაისურაძემ აგური . . . . | 49 | 50 |
| 339) ა. ს. ქმარკოვმა მუშაი და მორთულობა . | 35 | „ „ |
| 340) ილ. მოსულიშვილმა ფული და აგური . . | 32 | „ „ |
| 341) ივანე მესხიშვილმა ფული და აგური . . | 31 | „ „ |
| 342) ზაქარია მესხიევმა | 30 | „ „ |
| 343) ივანე მრევლოვმა . | 25 | „ „ |
| 344) პ. გ. მიტნიკმა . | 25 | „ „ |
| 345 იაკობ მახუტოვმა აგური და კრამიტი . . | 24 | „ „ |
| 346) სვიმონ მაჩაბელოვმა აგური . . . | 22 | „ „ |
| 347) ალექსანდრე მრევლოვმა აგური . . . | 16 | „ „ |
| 340) დავით მახვილაძემ . | 10 | „ „ |
| 349) გიორგი მაისურაძემ | 10 | „ „ |
| 350) იაკობ მარცვალაძემ | 10 | „ „ |
| 351) მ. მარკოზაშვილმა | 10 | „ „ |
| 352 ალექ. მახათაძემ . | 10 | „ „ |
| 353 გერენალმა მარალინმა | 8 | „ „ |
| 354) ივანე მელაშვილმა . | 7 | 50 |
| 355) ალექ. მესხიევმა . | 7 | 50 |
| 356) გ. მზარეულაშვილი | 5 | „ „ |

(შემდეგი იქნება)

(* იხ. „ცნობ. ფურც.“ № 776.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

15 მარტი.

**კოპენჰაგენი.** ფოლკსტინგმა, 73 ხმის უმეტესობით 28 წინააღმდეგ, 100,000 კრონი გადასდო სამხედრო ხომალდის აღმოსავლეთ აზიის წყლებზედ გასაგზავნად. ხომალდის უფროსად პრინცი ვალდემარი ინიშნება. 1899—1900 წ. ხარჯთ-აღრიცხვა შეწყნარებულია.

**პარიზი.** „Gaulois“-ი სწერს, რომ საფრანგეთის წარმომადგენლებად გააგის კონფერენციაზედ ინიშნებიან მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად ნამყოფი ლეონ ბურჟუა და დეპუტატი ეტურნელლიო

**პარიზი**. ინგლისის საფრანგეთის მორიგების წინააღმდეგ არც გერმანიასა და არც იტალიას არავითარი უკმაყოფილება არ განუცხადებიათ

**ბერლინი**. „Norddeutse Allg-Zeit“-ი იუწყება, რომ გერმანიის ...მპერიის წარმომადგენლობამ გაა-

გის კონფერენციაზედ ინიშნებიან: ელჩი გრაფი მიუნსტერი, მიუნჰენის უნივერსიტეტის პროფესორი ფონ-შტენგელი, კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ცორნი და თითო აფიცერი ერთი ფლოტისა და ერთი ხმელეთის ჯარისა.

**ვენა**. როგორც „Fremden-blatt“-ს გაუგონია, ავსტრი-უნგრეთის წარმომადგენლებად გაავის კონფერენციაზედ იქმნებიან: გარეშე საქმეთა სამინისტროს განყოფილების მთავარ-უფროსი გრაფი ველსერსგეიმი და მეორე რწმუნებულად—გააგელი ელჩი ავსტრი-უნგრეთისა ოკოლიგანი. იმათვე ახლდებიან უმაღლესნი სამხედრო მოხელენი და კანონ მდებლობის მცოდნენი. ველსერსგეიმის არჩევანი ჰმოწმობს, რა მნიშვნელობისად სთვლიან იმპერატორის ნიკოლოოზის მიერ აღძრულს მოლაპარაკებას.

**სტამბოლი**. საბერძნეთის წრეები იუწყებიან, რომ ოსმალეთისა და საბერძნეთის მოლაპარაკება სამშვიდო ხელშეკრულების დასამატ განსაკუთრებულ კონვენციის დადების შესახებ შეჩერებულიაო. ამ დღებში საბერძნეთის დელეგატები აცნობებენ პორტას, რა გარდაწყვეტილებასაც დაადგნენ.

**ვაშინგტონი**. 4 თებერვლიდგან ფილიპპეს კუნძულებზედ მოკლულია 157 კაცი, ხოლო დაჭრილია 864 კაცი.

17 მარტი

**პეტერბურგი**. უმაღლესის ხელმწიფე იმპერატორის ნება დართვით, იმ განსაკუთრებულ კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც თავად-აზნაურთა წოდების საქმეების განხილვა აქვს მინდობილი, კომისის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია თავად-აზნაურთა წინამძღოლნი შემდეგის გუბერნიებისა: ხარკოვისა—გრაფი კაპნისტი, ეკატერინოსლავისა—სტრუკოვი, ვლადიმირისა—ლეონტიევი, ნოვგოროდისა—თავადი ვასილჩიკოვი, მოსკოვისა—თავადი ტრუბეცკოი და პეტერბურგისა—ზინოვიევი.

**პარიზი**. საკასაციო სასამართლომ დაასრულა განხილვა დრეიფუსის საქმის სამხედრო და სადიპლომატო საიდუმლო dossier-სა. საკასაციო სასამართლომ კრებები შესწყვიტა. ამით ბოლლოგორე ისარგებლებსო და მოხსენებას შეადგენს.

**ლონდონი**. ბალფურმა გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროში მიიღო დეპუტაცია საერთა-შორისო სამშვიდობო საზოგადოებისა, დეპუტაციის წევრთა შორის იყვნენ: ჰერცოგი ებერდინი, ლონდონისა და როჩესტერის ეპისკოპოსები. დეპუტაციამ გადასცა მოხსენება, რომელშიაც თხოულობენ, დახმარება აღმოუჩინეთ იმ იდეიებს, რომელიც რუსეთმა სამშვიდობო მოწოდებაში გამოსთქვაო. მოხსენებაზედ ხელი უწერიათ ინგლისის 2000 ქალაქის მცხოვრებელს. თავისს პასუხში ბალფურმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა გულითადის თანაგრძნობით მოეკიდება სამშვიდობო საქმესაო. შემდეგ განაცხადა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ განხორციელდა განზრახვა იმისა, რომ ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის ხელ-შეკრულება დადებულიყო სამედიატორო სასამართლოს შესახებ, დარწმუნებული ვარ, დადგება ისეთი დრო, როდესაც განხორციელდება ასეთი ხელ-შეკრულობა. ღირს-საყურადღებო იარაღის აყრის წინადადებაში ის არის, განაგრძო ბალფურმა‘—რომ იგი პირველად აღძრა უდიდესის სამხედრო სახელმწიფოს მეფემ. ხელმწიფის მიერ აღძრულ საგანს ისეთის თანაგრძნობით და სიხარულით არსად არ მიეგებნენ, როგორათაც ინგლისში. ეს-კი მაჩვენებელია კაცობრიობის პროგრესისა, ახალის ნაბიჯისა, რომლის წყალობითაც ქვეყანა უახლოვდება იმ დროს, როდესაც საყოველთაო მშვიდობიანობა ჩამოვარდება.

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება ყველგან

„ამხანაგი“

უბის წიგნი და კალენდარი

ფასი 25 კაპ.

ვინც დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, ნაღდ ფულზე დაეთმობათ თითო აბაზათ. ადრესი: Квирилы, И. ивану Ардишвил

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОД НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТИЧ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗ

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ШЕСТНАДЦАТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)

Въ 1899 г. «Новое Обозрѣніе» будетъ выходить въ Т сѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ б шихъ столичныхъ газетъ. Въ газетѣ въ истекающемъ году нимали участе: **К. С. Баранцевичи, М. Гіоргидзе, И. Зурабишви Ивановичъ, Иванъ-да-Морья, Л. Кипіани, Лали, В. Лункевичъ, А. На Монголъ, А. Хах—овъ и др.**

**УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:** съ пересылкою и доставкою: на го **10 р.**, на полгода **6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на о мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу:* на годъ—**17 р.**, на полгода— на три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе какъ тая съ перваго числа любого мѣсяца). Для сельскихъ учит льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.**, полгода—**4 р.**

**ДЛЯ ГОДОВЫХЪ ПОДПИСЧИКОВЪ**, какъ городскихъ, та иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору дакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ услов при подпискѣ вносится—3 р.. къ 1-му марта—2 р., къ мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Подписка и объявленія принимаются **Въ ТИФЛИСѢ:** въ ко азеты, Барятинская ул.. № 8.

Подписка и объявленія принимаются: въ **ТИФЛИСѢ**—въ **торѣ газеты**, Барятинская ул., № 8; въ **Батумѣ**—въ книж агентствѣ М. И. Николадзе; въ **Кутаисѣ**—въ книжн. магази Һиладзе и Бежанейшвили. (6—

Подписка на 1899 годъ

**РУССЪ 4** руб. въ годъ **съ пересылкой.**

ежедневная газета и еженедѣльный

„**Иллюстрированный Листокъ**“ **2** Рубля в съ перес

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа лявеннымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собо хоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателя общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газе

„НЕДѢЛЯ“ еженедѣльная общественно-политическая газеаа | **9** Руб. въ годъ съ перес. | Всѣ четы издані **15** р. въ съ п

„КНИЖКИ НЕДѢЛИ“ ежемѣсячный литературный журналъ

**Допускается широкая разсрочка**

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редак дѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Маза О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. жулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайде*

(9—12) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Голо*

Открыта подписка на журналъ „**Новый міръ**“ на **1899** годъ

Подписная цѣна годовому изданію „НОВЫЙ МІРЪ“ со всѣми преміями и приложеніями съ дост. и перес. . . . **14**

**ПОДПИСЧИКИ „НОВАГО МІРА“ ВЪ ТЕЧЕНІЕ 1899 г. ПОЛУЧАТЪ СЛѢДУЮЩІЯ ШЕСТЪ ИЗДАНІ**

I. ЖУРАЛЪ „**НОВЫЙ МІРЪ**“ СЪ СОВРЕМЕННОЮ ЛѢТОПИСЬЮ 24 выпуска въ годъ въ форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацій.

II. Особый иллюстрир. отдѣлъ „МОЗАИКА НОВАГО МІРА“ (24 выпуска въ годъ) составляющій какъ бы самостоятельный журналъ по прикладнымъ знаніямъ, вмѣщающій въ себѣ 16 рубрикъ.

III. ЖУРНАЛЪ ЛИТЕРАТУРНЫЕ ВЕЧЕ „НОВАГО МІРА“ 12 ежемѣсячныхъ иллюстрирован книжекъ романовъ и повѣстей дл мейнаго чтенія.

IV. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго собранія сочиненій *И. И. Лажечникова*, (ТОМ. 1—6)

V. ШЕСТЬ переплетенныхъ томовъ новаго полнаго иллюстрирован. собранія сочиненій *Генриха Гейне*, въ переводѣ русскихъ писателей редакціи В. В. ЧУЙКО (ТОМЪ 1—6)

VI. ДВѢ изящно переплетн. к формата in-folio роскошнаго изданія *Живописной Рос* посвященныя описанію черноземныхъ, нестепныхъ губер донско-каспійской обл.

(12